ანალიტიკური წერა

I ვარიანტი

ორი დავალება

დრო – 1 სთ 10 წთ

დავალება I – მსჯელობის ანალიზი

ქალაქის ცენტრში პრესტიჟულ ადგილას მდებარე კინოთეატრი გაარემონტეს. განახლებულ შენობაში, კინოჩვენებებისათვის განკუთვნილ დარბაზებთან ერთად, სადაც ახალ ფილმებს აჩვენებენ, კაფე გაიხსნა. განახლების შემდეგ კინოთეატრი დიდი პოპულარობით სარგებლობს, მისი შემოსავალი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ამავე ქალაქის ერთ-ერთი გარეუბნის ძველი კინოთეატრის ადმინისტრაციამ მიიჩნია, რომ კაფეს გახსნა დადებითად იმოქმედებდა მათ ბიუჯეტზეც. ამისათვის ადმინისტრაციამ გააუქმა ერთ-ერთი კინოდარბაზი, რომელშიც სისტემატურად ძველებურ ფილმებს უშვებდნენ, და იქ კაფე გახსნა.

აღმოჩნდა, რომ ძველი კინოთეატრის ადმინისტრაციის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად კინოთეატრის პოპულარობამ და შემოსავალმა კი არ იმატა, არამედ იკლო.

იმსჯელეთ, რა შეიძლება ყოფილიყო ძველი კინოთეატრის ადმინისტრაციის მიერ ჩატარებული ღონისძიებების წარუმატებლობის მიზეზები.

ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.

დავალება II – თემა მოცემულ საკითხზე

იმისათვის, რომ XXI საუკუნეში ადამიანი თანამედროვე ცხოვრების რიტმს არ ჩამორჩეს, მან ნაკლები დრო უნდა დაუთმოს მხატვრული ლიტერატურის კითხვას და უფრო მეტად იზრუნოს ინფორმაციის მიღებაზე.

გამოთქვით თქვენი აზრი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით; თქვენი პოზიციის დასასაბუთებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები.

ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.